ლიტერატურული ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის" დამატება
№3, 7 მარტი, ხუთშაბათი, 2024 წელი

პოეტის გახსენება

მირზა გელოვანი – 107

მირზა ლიტერატურული ფსევდონიმია. მას ახლობლები რეზოთი მოიხსენიებდნენ. თავის პირველ ლექსებს კი „მზის კაცის " ფსევდონიმით აქვეყნებდა.

მირზა გელოვანის პირველი ლექსი 1933 წლით არის დათარიღებული, უკანასკნელი – 1944-ით.

სულ ათიოდე წელი გაგრძელდა მისი შემოქმედებითი ცხოვრება, მაგრამ მაინც მოასწრო საკუთარი ხმის პოვნა, თავისთავადი პოეტური სამყაროს შექმნა.

„მე შენი თმები დამაბრუნებენ," – ასე წერდა ომიდან მირზა თავის უმშვენიერეს მუზას, ნინო ახვლედიანს (ნინო ლედიანს).

თითქმის ყველა წერილში თავის ახლობლებს აიმედებდა:

„არ დამიღონდეთ... მე დავბრუნდები"...

„ამ დაბრუნებით ტკივილებს წავშლი"...

მირზა ბელორუსიაში, მდინარე დასავლეთ დვინას გადალახვისას, მეორე მსოფლიო ომის მიწურულს, 1944 წელს მოკლეს. მაშინ პოეტი მხოლოდ 27 წლის იყო.

ახლობლებს დიდხანს ეგონათ, რომ მირზას საფლავი დაკარგული იყო. სინამდვილეში, ადგილობრივ მცხოვრებლებს მისი ცხედარი გაუპატიოსნებიათ და ჯერ ცალკე, შემდეგ კი ვიტებსკის ოლქის ბერენკოვიჩის რაიონის სოფელ სანიკის საძმო სასაფლაოზე დაუსაფლავებიათ.

ამის შესახებ მხოლოდ 19 წლის შემდეგ გახდა ცნობილი.

ბელორუსმა პიონერებმა მირზას დედას, ევა მაჩურიშვილს, 1963 წლის 13 ივნისს მისწერეს:

„ჩვენს ტერიტორიაზე, სოფელ სანიკში არის სამხედრო სასაფლაო, სადაც დაკრძალულია თქვენი შვილი, მირზა გელოვანი"...

ამ დროს პოეტის დედა უკვე გარდაცვლილი იყო. იგი სიცოცხლის ბოლომდე ელოდა, რომ მირზა დაბრუნდებოდა, რადგან შვილის გარდაცვალების ცნობა ახლობლებს არ უჩვენებიათ...

მაშინ პოეტის ცხედრის საქართველოში გადმოსვენებაზე არავის უფიქრია. მოგვიანებით იყო მცდელობები, მაგრამ დღემდე შედეგი არ ჩანს!!!

2 მარტი მირზას დაბადების დღეა...

გვიანი არასდროს არ არის, მშობლიურმა მიწამ მიიბაროს მისი ნეშტი, ის ხომ ,,ჭაბუკი დარჩა მარად"...

მირზა გელოვანი

ნუ მწერ

ნუ მწერ, რომ ბაღში აყვავდა ნუში,
რომ მთაწმინდაზე ცა დაწვა თითქოს,
რომ საქართველო ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის, წააგავს ხვითოს...
რომ ორთაჭალამ ჩაიცვა თეთრი,
რომ შენც ჩაიცვი კაბა ყვავილის,
რომ მტკვარი ოხრავს, როგორც ყოველთვის,
როცა მეტეხის ახლოს ჩაივლის.
...წუხელ ვებრძოდი ცეცხლს და ურაგანს
და საშინელი ბრძოლების ნისლში
მე მომეჩვენა, სადღაც, ჩვენს უკან
აელვებული იდგა თბილისი.
ორთაჭალაში ყვაოდა ნუში,
მთაწმინდის მხრებზე მზე იწვა თითქოს,
და შენც, ძვირფასო, ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის, მოჰგავდი ხვითოს.
ნუ მომწერ... ისეც ვიცი, რაგვარი
ფერებით ყვავის თბილისი ახლა,
რომ ვიღაც დადის მინდვრებში ღამით
და დილისათვის ამწვანებს ნახნავს.
მე ისიც ვიცი, რომ კარგ ამინდებს
მოაქვთ გულების საამო ფეთქვა
და თუ ბოლომდის ტყვია დამინდობს,
თუ გაზაფხულებს შევხვდებით ერთად, –
გეტყვი, რომ მოვედ ბრძოლანახული
და სიკვდილამდის შენთან დავრჩები,
რომ ლამაზია მზე გაზაფხულის,
ბრძოლების შემდეგ – მზე გამარჯვების!..

აქტუალური თემა

ჰაგიოგრაფია - სულის ხსნის ხელოვნება

მას შემდეგ, რაც განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხრიდან სკოლებში პროგრამით გათვალისწინებული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების სავარაუდო შემცირების საკითხი გაჟღერდა, საზოგადოებრივი აზრი გაიყო. უმეტესობა მიიჩნევს, რომ აღნიშნული ნაწარმოებების შემცირება და მით უფრო, პროგრამიდან ამოღება, დაუშვებელია, თუმცა, სწავლების მეთოდები შესაცვლელია; ნაწილს კი მიაჩნია, რომ მოზარდი მსგავსი სირთულის ტექსტს ვერ აღიქვამს და სჯობს, თუ მას ამ „ტვირთს" შევუმსუბუქებთ.

რატომ არის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების სწავლება სკოლაში და რა ძირითად მოთხოვნებს უნდა ეფუძნებოდეს მშობლიური ლიტერატურის სწავლების პრინციპი, – გვესაუბრება ქართული ჰაგიოგრაფიის მკვლევარი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი **საბა მეტრეველი.**

– ბატონო საბა, ევროპისკენ მიმავალ გზას დავადექით. შეესაბამება თუ არა ჩვენი განათლების სისტემა ევროპული განათლების დონეს და რას ვთავაზობთ ამ გზაზე მომავალ თაობას?

– როგორ გვესმის ევროპა, ევროპული განათლება, ევროპული კულტურა... ამას ბევრი განსაზღვრება აქვს, მაგრამ მათ შორის ერთ-ერთი მთავარია ის, რომ „ევროპულობა" ნიშნავს სამშობლოს გაცნობიერებულ სიყვარულს. სიყვარული, უპირველეს ყოვლისა, არის ცოდნა. ასეა პირად ურთიერთობებში და ზოგადადაც სამშობლოს გაცნობიერებული სიყვარული ნიშნავს, კარგად იცოდე შენი სამშობლოს ისტორია და კულტურა. ცოდნამ დღეს სხვა ღირებულება შეიძინა და ის ჩვენ მხოლოდ ინფორმაცია გვგონია. თუმცა, „გუგლი"და ინტერნეტი წიგნიერებას ვერასდროს ჩაანაცვლებს. ლოგიკის ნებისმიერ სახელმძღვანელოშია განმარტებული, რომ ცოდნა არის საგნისა და მოვლენის შინაგანი კავშირების, კანონზომიერების სრულფასოვანი გააზრება.

როცა სკოლაში ვმუშაობდი, გაცნობიერებული მქონდა, რომ უნდა აღმეზარდა თავისუფალი მოქალაქე. თავისუფლება არის ღვთისგან ბოძებული განძი, მაგრამ თავისუფლება ყველაფრის უფლება და „მინდას"ტყვეობაში ყოფნა კი არა, არამედ სრულყოფილებისკენ სწრაფვაა! თავისუფალი პიროვნება უნდა იყოს ის, ვინც 21-ე საუკუნის საქართველოს შექმნის. როცა ცოდნა გაქვს – თავისუფალი ხარ! რაღაცას რომ გკითხავენ, პასუხი სხვაგან კი არ უნდა გაგიხდეს საძებარი, – ეს შენ უნდა იცოდე. უნდა გავაცნობიეროთ, რომ სკოლას აქვს ძალიან დიდი მისია – მან ეროვნული ცნობიერების მქონე თავისუფალი პიროვნება უნდა აღზარდოს!

– რა არის მიზეზი, რის გამოც რთულია, მოზარდს ეროვნული ცნობიერება ჩამოუყალიბო?

– მოზარდის პიროვნებად ჩამოყალიბების გზაზე დიდი სირთულეებია. პირველი დიდი გამოწვევა არის თანამედროვე ტექნოკრატია – ციფრული ტექნოლოგიები, რომელმაც მაქსიმალურად შეუწყო თაობებს ხელი, მოსწყდნენ წიგნს. გარდა ამისა, თანამედროვე ოჯახში ვექტორები შეიცვალა, ოჯახის მარჩენალის ფუნქცია, უმრავლეს შემთხვევაში, დედამ იკისრა. ის გადაგებულია ოჯახს და შვილისთვის დრო აღარ რჩება. ბავშვი იზრდება რთულ გარემოში, სადაც არც ოჯახში, არც სხვა გარემოში არ არის მოთხოვნა წიგნსა და წიგნიერებაზე. ყველაფერი უწყობს ხელს თაობას, რომ იყოს ზედაპირული, არ იყოს წიგნიერი და, როცა ცოდნა არა გაქვს, შესაბამისად, არ გაქვს კრიტიკული აზროვნების უნარი. ლიტერატურამ სკოლაში უნდა აღზარდოს კარგი მკითხველი. ამით ის, რა თქმა უნდა, თაობებს ქართულ იდენტობას უნარჩუნებს. ჩვენი იდენტობის ყველაზე ვალიდური ინდიკატორია ლიტერატურა, რომელიც ავითარებს სულიერ კულტურას და აყალიბებს მხატვრულ გემოვნებას. ჩვენი ვალია, გემოვნებიანი მკითხველი აღვზარდოთ. ამიტომ არის პრობლემა კომპლექსური და რთულად მოსაგვარებელი.

– მაინც, როდის დაშორდა წიგნს მოზარდი? არ ფიქრობთ, რომ უფროსი თაობა უკეთესი მკითხველი იყო?

– წიგნის მკითხველი ყოველთვის, ყოველ დროსა და ეპოქაში დიდი იშვიათობა იყო. ჩემს ბავშვობაში თითქმის ყველა ოჯახს ჰქონდა თაროზე შემოწყობილი ენციკლოპედიები, მუყაოს ყდიანი გამოცემები ფერების მიხედვით, მაგრამ ჩემი მშობლების თაობა მაინც პრესის მკითხველი უფრო იყო და უყურებდა იმ ერთადერთ სატელევიზიო არხს, რომელიც მაშინ არსებობდა. წიგნს ცოტა თუ კითხულობდა. თუმცა, უფროს თაობას ესმოდა, რომ წიგნი არის დიდი მეგობარი ცხოვრების რთულ გზაზე და ის აუცილებელია მოზარდის განვითარებისთვის. ახლა ეს ინტენციაც მოშლილია. მომავალი თაობა იზრდება კონკრეტულ მაგალითზე. შვილს რომ ეტყვი, დაჯექი, „ვეფხისტყაოსანი" წაიკითხეო და თავად სერიალს უყურებ, ერთხელ, მეორედ და მუდმივად... ის ბავშვი ვერ განმარტოვდება წიგნთან, რადგან მან ვერ მიიღო ცოცხალი, კონკრეტული მაგალითი მშობლისგან... ასე რომ, ბევრი პრობლემა იყრის თავს!

– „ევროპულობა", გაუცნობიერებლად, ეროვნულ იდენტობას ხომ არ ებრძვის?

– შეუძლებელია! ევროპისთვის და დანარჩენი სამყაროსთვის საინტერესო ვართ მხოლოდ ჩვენი კულტურით, ჩვენი სულიერი პროფილით, იმით, რაც საქართველოს მათგან განასხვავებს! მათ აინტესებთ ჩვენი ინდივიდუალობა. ევროპის დიდ ოჯახს რით მოხიბლავს, რით გააკვირვებს ეს მცირე ერი?! ეკონომიკით? ტექნიკით? – ვერა! მხოლოდ საკუთარი კულტურით, მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურითა და ისტორიით!

არ ვიზიარებ, როცა ამბობენ, რომ ევროპის გზაზე მიმავალი ერი ვართ, რადგან ისტორიულად ყოველთვის ევროპული კულტურის ნაწილი იყო საქართველო. ჩვენი კულტურა ბიზანტიური კულტურის გვერდით, მათთან თანასწორად ყალიბდებოდა. ჩვენ ახლა შინ ვბრუნდებით.

ნიცშეს მიხედვით, ევროპელობა ნიშნავს კონტაქტს ანტიკურ კულტურასთან, ქრისტიანობასა და ბიბლიასთან... გეოგრაფიულ მდებარეობას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. რომელი ორიენტირი განსაზღვრავს ქვეყნის კულტურას, ისტორიას და ლიტერატურას – ეს არის მნიშვნელოვანი. ევროპულ ოჯახთან დაახლოება არის ჩვენთვის „შინ დაბრუნება". შინ მისვლამდე კი გზაში ვართ და ამ მდგომარეობამ ბევრ რამეზე უნდა დაგვაფიქროს. უნდა გავიაზროთ ამ დიდ ოჯახში ჩვენი ადგილი, როლი და მნიშვნელობა.

– ახლახან წამოწიეს საკითხი, რომ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების სწავლებას, შესაძლოა, ნაკლები დრო დაეთმოს. როგორც გია მურღულიამ განაცხადა, „სკოლაში ყველაფერი კი არ უნდა ასწავლო, უნდა ასწავლო იმდენი, რაც ბავშვის განვითარებისთვისაა საჭირო"...

– ეს საკითხი პირდაპირ უკავშირდება შემეცნების კრიზისს, რომელიც მენტალობის კრიზისთანაა გადაჯაჭვული. დიდი ხანია, უტევენ ქართულ ჰაგიოგრაფიას. თავისი არსით, სპეციფიკით, პრინციპებით ჰაგიოგრაფია არის სასულიერო, საეკლესიო მწერლობის დარგი, დასაწყისი ქართული მწერლობისა და ამ მოცემულობას, რეალობას ვერავინ შეცვლის!

როდესაც უტევ ფუნდამენტურ, მარადიულ ფასეულობებს და საფუძველს აცლი ღირებულებით სისტემას, ფაქტობრივად, მომავალს ანადგურებ. ნებისმიერი ტექსტი, ჰაგიოგრაფიული იქნება ეს თუ შემდომი პერიოდისა, – მკვდარია მანამ, სანამ შენში არ გააცოცხლებ.

ჰაგიოგრაფია საეკლესიო მწერლობაა, ეს არ არის წმინდა სახის მხატვრული ლიტერატურა, რადგან მწერლობა აუცილებლად გულისხმობს მხატვრულ გამონაგონს და ფანტაზიას, ჰაგიოგრაფია კი გეუბნება, რომ არის „ჭეშმარიტი და უტყუელი", რომ გამონაგონი და შეთხზული არ არის. ის ეფუძნება კონკრეტულსა და რეალურ ფაქტს და კი არ გატყუებს, არამედ, გიყვება ნამდვილსა და ჭეშმარიტს. ქრისტიანული ხელოვნება ჩვეულებრივი ხელოვნებისგან ისე განსხვავდება, როგორც გალობა სიმღერისაგან, ხატი – ნახატისაგან, ხუროთმოძღვრება – არქიტექტურისაგან. ხატს რომ უყურებ, ლოცვა გინდება; ეკლესიას რომ უყურებ – ლოცვად განეწყობი. ასე განსხვავდება ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებიც მხატვრული ლიტერატურისგან. რელიგიას, რწმენას, წმინდანთა ცხოვრებას გადაჰყავხარ აბსოლუტურად ახალ განზომილებაში, სულიერ ცხოვრებაში. ეკლესიამ შემოგვინახა დამწერლობაც და კულტურაც. რწმენა უნათებდა ქართველ კაცს გზას და აძლევდა ძალას ისტორიული განსაცდელის ჟამს.

ჰაგიოგრაფია სულის ხსნის ხელოვნებაა, ჭეშმარიტების ძიების, მშვენიერისა და ამაღლებულის საფუძველია. ჰაგიოგრაფია ასწავლის მომავალ თაობას სიყვარულსა და ერთგულებას; ცოცხალ და კონკრეტულ მაგალითს აძლევს სამშობლოსა და მოყვასის მსახურებისას. ჰაგიოგრაფია გვეუბნება, რომ სიყვარული ნიშნავს თავგანწირვას. ამიტომაც ეწამნენ ასე უდრეკად და შეურყევლად ქრისტეს სიყვარულისთვის მისი გმირები. არ ვასწავლოთ კი არა, კარგად უნდა ვასწავლოთ, მეტი დრო უნდა დავუთმოთ, მეტი ფიქრისა და განსჯის შესაძლებლობა მივცეთ ახალგაზრდობას.

ჰაგიოგრაფიის სასკოლო პროგრამიდან ამოღებაზე არ არის საუბარი და ამას

ვერც ვერავინ შეძლებს. კამათი იმაზე დაიწყო, რომ სასკოლო პროგრამაში შეიძლება შემცირდეს ჰაგიოგრაფიული ტექსტების რაოდენობა. დავაკვირდეთ, რა ფარულ რიკსებს შეიცავს ასეთი ლოგიკა: დღეს ვიტყვით, რომ ჰაგიოგრაფიული ტექსტები შევამციროთ, რადგან თაობა ვერ ართმევს თავს. რამდენიმე წელწადში შეიძლება ვიღაცამ თქვას, რომ „ვეფხისტყაოსანი" ვრცელი ტექსტია და რა საჭიროა. მოდი, ესეც შევამოკლოთ (ან პროზად ვასწავლოთ, მხოლოდ შინაარსი ვუამბოთ)! შემდეგ გადასწვდებიან „ჯაყოს ხიზნებს", „დიდოსტატის მარჯვენას" – ესენიც დიდია... და რა საჭიროა?!

ჩვენ კომუნისტურ ეპოქაში ვისწავლეთ ჰაგიოგრაფიული ტექსტები. როგორ ვისწავლეთ, სხვა საკითხია, რადგან მაშინ რწმენასა და ეკლესიას რეჟიმი დევნიდა, მაგრამ რა ხდებოდა ამ თხზულებებში, ამის გააზრება და წარმოდგენა მაინც შეგვეძლო.

ახლა სხვა გამოწვევების წინაშე ვდგავართ და ჰაგიოგრაფიულ ტექსტებსაც სხვანაირი მიდგომა, სხვანაირი სწავლება სჭირდება. ფსიქოლოგიური ინერციით ჩვენ ისე ვამბობთ შუშანიკი, აბო, გრიგოლი, თითქოს ისინი ჩვენი გარე ბიძაშვილები იყვნენ და არა – ეკლესიის წმინდანები! ჰაგიოგრაფია ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილთა ღვაწლს ასახავს და არ უნდა ვიკადროთ წმინდანების ასე მოხსენიება! არც ის მიმაჩნია მართებულად, რომ ბავშვს „შუშანიკის დახასიათება" მისცე დასაწერად. წმინდანის დახასიათებას შენ არავინ გეკითხება! ჰაგიოგრაფიაში მნიშვნელოვანი სულისა და ხორცის ჭიდილია, რას თმობს წმინდანი ამა სოფლიდან, როგორ შემოაქვს ჰაგიოგრაფს მარადიული ღირებულებები, როგორ გიჩვენებს გზას სრულყოფილებისკენ. ჰაგიოგრაფია რელიგიის, სულიერების კონტექსტში უნდა მიაწოდო ბავშვს და უნდა უთხრა, თუ რატომ არის აქტუალური დღესაც, ამდენი საუკუნის შემდეგ თუნდაც ქვემო ქართლის ერთ ოჯახში დატრიალებული დრამა – წმინდა შუშანიკის წამება. სკოლამ კრიტიკული აზროვნება უნდა განუვითაროს მოზარდს და ერთად ფიქრით, დიალოგის, თანამოაზრეობის პრინციპის დაცვით ახალი ჰორიზონტები გაუხსნას.

ეს ყველაფერი ხელახლა არის გასააზრებელი, მაგრამ კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რომ ჰაგიოგრაფია იმ ასაკში ისწავლებოდეს, რომელშიც ახლა ასწავლიან. ზოგჯერ მეათეკლასელი ასეთ რთულ ტექსტს ვერ აღიქვამს, ბევრ რამეს ვერ იგებს სწორად და სასაცილოდ არ ჰყოფნის. ჩვენ რომ ნორმალური განათლების სისტემა გვქონდეს, ჰაგიოგრაფია უნდა ისწავლებოდეს დამამთავრებელ კლასში (მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურის ისტორიის პრინციპი ამით დაირღვევა). თუმცა, მე- 12 კლასში სასწავლო პროცესი ამჟამად, ფაქტობრივად, გაუქმებულია და გამოდის, რომ ძველ ქართულ მწერლობას გავწირავთ. ამაზე დაფიქრება, კამათი, მსჯელობა ღირს.

მიუხედავად მწვავე კონტექსტისა, მაინც კარგია, რომ შიგადაშიგ ასე აქტუალური ხდება ქართულ ჰაგიოგრაფიაზე საუბარი. ეს უკვე მის ღირებულებაზე მიგვანიშნებს.

გალაშქრება ჰაგიოგრაფიული ტექსტების წინააღმდეგ, არის ბრძოლა ჩვენი იდენტობის, ჩვენი რწმენის წინააღმდეგ. ქრისტიანობამ თავისი არსებობის დასაწყისიდანვე სასტიკი დევნილობა გადაიტანა, რაც მეოცე საუკუნეში აგრესიული სეკულარიზმით, დამანგრეველი ბოლშევიკური ღვთისმებრძოლობით გაგრძელდა, მაგრამ ვერ შეარყიეს მისი საფუძვლები. ღმერთთან ბრძოლა, რწმენასთან ომი არავის მოუგია და ბუნებრივია, ეს განზრახვაც იმთავითვე დამარცხებისთვისაა განწირული.

მშობლიური ენის ცოდნა პირდაპირ უკავშირდება ამ ენაზე დაწერილ ლიტერატურას. ჩვენ ტექსტის კითხვის ეპოქაში უნდა შევაბიჯოთ და, მათ შორის, ძველ ქართულ ტექსტებს კარგად უნდა გავეცნოთ, რათა გზა არ დავკარგოთ, თორემ ვინც გზას კარგავს, კარგავს საკუთარ თავს!

– ლექსის სწავლა რომ დავავალოთ მოსწავლეს, ლამის დანაშაულად გვითვლიანო, – თქვენ წერდით, დასაზეპირებელი ტექსტი სკოლაში, ფაქტობრივად, აღარ არსებობს, მათ შორის, ლექსი...

– ეს არის ქართული სკოლის დანაშაული. კარგა ხანია, სკოლაში სწავლება მხოლოდ ეროვნული გამოცდების მოთხოვნებზეა გათვლილი. თუმცა, მისაღებ გამოცდებს სხვა ფუნქცია და სხვა დანიშნულება აქვს. იქ შეიძლება მარტო „ვეფხისტყაოსანი" შევიტანო პროგრამაში და ამით მივხვდე, რა უნარები აქვს აბიტურიენტს, როგორ შეუძლია წერა და აზროვნება. არ შეიძლება სკოლა ორიენტირებული იყოს მისაღები გამოცდების სპეციფიკაზე. ეს არის აზროვნების კრახი, რადგან ეროვნული გამოცდები არ მოითხოვს ქრესტომათიულ ცოდნას. იქ ქართველიც და არაქართველიც ქართულ ენასა და ლიტერატურაში ერთ პროგრამას აბარებს და ტექსტი, რომლის შესახებაც უნდა იმსჯელონ, წინ უდევთ. ამის გამო, სკოლამ გაიმარტივა საქმე და გალაკტიონის სამშობლოში, რუსთაველის სამშობლოში ლექსის ზეპირად სწავლაზე თქვა უარი. ლიტერატურაში არაა დომინანტური შინაარსი. ამ გაგებით „ვეფხისტყაოსნის" ამბავი ძალიან მარტივია. მასში მთავარია არა ფაბულა, არამედ თხზვის, ამბის გადმოცემის ხელოვნება, ესთეტიკა და მსოფლმხედველობა. როგორ უნდა გადმოვცე „ლურჯა ცხენების" შინაარსი?! ლექსი ცოცხლად ინახავს კლასიკურ მწერლობას მომავალ თაობაში. ციტატა აუცილებელი ფაქტორია ბავშვის ლექსიკური მარაგის გამდიდრებისთვის. ლექსის ცოდნა ავითარებს მახსოვრობასა და აყალიბებს ეროვნულ ცნობიერებას.

ამიხსნას ვინმემ, როგორ უნდა ისაუბრო ლექსის შესახებ ისე, როცა ერთი სტროფი, ერთი ტაეპიც არ იცი ამ ლექსიდან? გალაკტიონის „მთაწმინდის მთვარეზე" რას იტყვი, რომ მთაწმინდაზე ავიდა ავტორი და იქით აკაკის საფლავი დახვდა და აქეთ – ბარათაშვილისა?! ეს არის ლექსის ცოდნა?

უნივერსიტეტში სასწავლებლად მოსულმა თაობამ ერთი ლექსიც რომ არ იცის, ბარათაშვილის „მერანს", აკაკის „განთიადს" ან გალაკტიონის ერთ შედევრს რომ ვერ წაგიკითხავს, არ არის კატასტროფა? მხატვრულ სიტყვაში გაცოცხლებულია იდეა, დრო, საგნის სული. ის არის ესთეტიკური ფაქტორი თავისუფლებისა. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი სიტყვით იწყება და სიტყვით მთავრდება. ციტატაზე უარის თქმა, ლექსის უგულებელყოფა დიდი სახელმწიფო დანაშაული, მიუტევებელი ცოდვაა. ყველაფერი დამოკიდებულია მასწავლებელზე. მას ვერავინ აუკრძალავს, მომავალ თაობას ქართული ლირიკის შედევრები ასწავლოს!

ყველაზე დიდი პრობლემა სწორედ ის არის, რომ არ არის მოთხოვნა. შეიძლება კარგი მასწავლებელი ასწავლიდეს ბავშვს, გასაგებად უხსნიდეს, მაგრამ შემდეგ აღარ სთხოვდეს. სწავლა იძულების გარეშე არ არსებობს. უკომპრომისო უნდა იყო, თუ გინდა, რომ თაობებს ცოდნა გადასცე! გურამიშვილი რასაც ამბობს, იმას, რა თქმა უნდა, თანამედროვე სკოლა და მიდგომები ვერ გაიზიარებს, მაგრამ შედეგს რა გზით მიაღწევ, მასწავლებელზეა დამოკიდებული. მკაცრად უნდა იდგე შენს პრინციპებზე და არაფერი დათმო, თან, ეს ყოველგვარი კონფლიქტისა და გაუგებრობების გარეშე უნდა მოახერხო.

– თქვენ ამბობთ, რომ, მიუხედავად საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნებისა, მასწავლებელს აქვს საშუალება, თავად აირჩიოს სწავლების მეთოდი. თუმცა, ახლა უკვე საუბარია იმაზე, რომ მოსწავლეს სახლში სამუშაოდ დავალებებიც არ უნდა მისცენ და ეჭვი მაქვს, არაერთი მოსწავლის მშობელი გამოჩნდება, რომელიც მასწავლებლის პირად ინიციატივებს შეეწინააღმდეგება...

– სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევებიც შეიძლება იყოს, მაგრამ, როდესაც მასწავლებელი საკითხს გააზრებულად დასვამს, როცა კლასის 90 პროცენტი აგყვება, ის 10 პროცენტი „ამინდს" ვერ შექმნის. მშობლების დიდი იმედი მაქვს და დარწმუნებული ვარ, არც ერთ მათგანს არ უნდა, ისეთი შვილი ჰყავდეს, რომელმაც არ იცის „სულიკო" აკაკი წერეთლის ლექსია თუ რომელიმე თანამედროვე პოეტისა. რა სამარცხვინოა, რომ გალაკტიონის სამშობლოში ამაზე ვსაუბრობთ, საკუთარ ძირსა და ფესვებს ნუ მოვწყვეტთ თაობებს!

– მაინც, რა ძირითად მოთხოვნებს უნდა ეფუძნებოდეს მშობლიური ლიტერატურის სწავლების პრინციპი?

– მასწავლებელი უნდა იყოს მაღალი კომპეტენციის, ბავშვსა და თავის საგანზე თავდავიწყებით შეყვარებული და, რაც მთავარია, სამართლიანი. ქართულ სკოლას სჭირდება ეროვნული ცნობიერების მქონე, სახელმწიფოებრივი აზროვნების პედაგოგი, რომელსაც უყვარს თავისი სამშობლო და შეუძლია, ეს სიყვარული გადასდოს მოსწავლეს! ანტიკური მჭევრმეტყველების მთავარი პრინციპი იყო – ასწავლე, მოაწონე და ააღელვე! თუ ეს სამი ერთდროულად შეუძლია მასწავლებელს, მაშინ გაუმართლა თაობას, გაუმართლა სკოლას! მეორე და უმთავრესი – გენიოსიც რომ იყოს მასწავლებელი, თუ ის არ არის მომთხოვნი, დაღუპავს თაობას, შედეგი ვერ დადგება. წერის კულტურა და კრიტიკული აზროვნების უნარი, მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბება და ლექსიკის გამდიდრება უნდა იყოს ძირითადი მოთხოვნა ლიტერატურის სწავლებისას ქართულ სკოლაში.

ესაუბრა **ნონა ქარქაშაძე**

თეატრი და ბავშვები

მეხუთედ დაბადების მოლოდინით...

მაინც როდის იხსნება მესამე თვალი, რომელიც ცნობიერსა და ქვეცნობიერს შორის არსებულ ზღვარს შლის?!

რა სიმძლავრისა უნდა იყოს ნათება, რომ ყველა კუთხე-კუნჭულში შეაღწიოს, გაანათოს და გაათბოს შეცნობის მოლოდინით დაღლილი, სულგამოცლილი საგნები?!

რა ძალას ძალუძს, დაგაფიქროს სამოთხიდან გამოძევებულ ადამზე, მის სინანულზე, სულის კვართისგან განმოსილ მოდგმასა და გოლგოთაზე, რომელიც თითოეული ჩვენგანის გზად ქცეულა?!

მაინც ვისი ბაგიდან უნდა გადმოდინდეს ნაკადული, რომ ეჭვშეუტანლად, თვალდახუჭული დაეწაფო, კათარზისი განგაცდევინოს და საკუთარ თავში ჩაღრმავებით, ოცდაერთი საუკუნის ამდენივე „ნაბიჯის“ გაანალიზებით დაგაფიქროს, თუ რა მანძილია შესაქმის დღიდან მოაქჟამამდე?!

ვინ უნდა შეგაფხიზლოს, რომ მიხვდე, რაოდენ განწირულია პირქვედამხობილი გული და სიმშვიდე, რომელიც, თურმე, დაცლილი სამოთხის გამო, კვნესის?!

მაინც რა არის სამშობლო და ვინაა მოყვასი შენი?!

ამ და სხვა, არაერთ კითხვაზე დაგვაფიქრა 2024 წლის 27 თებერვალს, ეკა ბაქრაძის მიერ დადგმულმა ლიტერატურულმა სპექტაკლმა „შესაქმის დღიდან მოაქჟამამდე“, რომელიც ბავშვთა და მოზარდთა თეატრალური წრის **„აკვარიუმის“** ნორჩმა მსახიობებმა წარმოადგინეს.

ეკატერინე ბაქრაძის ,,აკვარიუმი” ცხრა წელია არსებობს ხაშურის სინამდვილეში და გემოვნებიანი თემატიკის სპექტაკლებით ათბობს მოზარდების და არა მარტო მოზარდების, არამედ ჭეშმარიტ ხელოვნებას დანატრული საზოგადოების სულს.

21-ე საუკუნის ციფრული ეპოქის მიერ მთლიანად შთანთქმული ახალგაზრდა თაობა დღეს, ისე, როგორც არასდროს, საჭიროებს სულიერებასთან მიახლოებას, ღვთიური და ადამიანური საწყისების გაცნობიერებას. ამ და, კიდევ ბევრი, სხვა მადლით ივსებიან მოზარდები ეკა ბაქრაძის ,,აკვარიუმში”, რომელმაც ხაშურის პირველი სკოლიდან უკვე მესამე წელია, სახლში გადაინაცვლა და ნაყოფიერად აგრძელებს მოღვაწეობას. სწორედ, ,,სახლის თეატრის” კედლებში თავდადებული შრომის შედეგია ნორჩი მსახიობების მიერ სხვადასხვა ფესტივალებზე მიღებული ჯილდოები და საუკეთესო ნომინაციები.

,,შესაქმის დღიდან მოაქჟამამდე” ბიბლიურ თემატიკაზე აგებული პოეზიის სპექტაკლია, სადაც ჯემალ აჯიაშვილის ძველებრაული პოეზიის ბრწყინვალე თარგმანებთან ერთად, უხვად არის გაბნეული ქართველი პოეტების: ო. ჭილაძის; რ. ამაშუკელის; ვ. ხარჩილავას; ე. საღარაძის; მ. მთვარელიძის; ალ. ღონღაძის; მ. დანგაძის; ე. ბაქრაძისა და სხვათა სიტყვაკაზმული სტრიქონები.

უყურებ, უსმენ, ულრმავდები და ასკვნი, რომ არაფერი შეცვლილა დღემდე... ცივილური სამყაროს უღელქვეშ ისევ გმინავენ ნირშეცვლილი მოვლენები და, რომ სამოთხის კარი დიდი ხანია, ჟანგიანი ურდულით არის დახშული.

სცენაზე ადამის მოდგმის ცოდვებით დამწუხრებული ანგელოზები იდგნენ, თეთრად შემოსილნი და ჩვილის წმინდა ბაგით ღაღადებდნენ, რომ ჯვარცმისა და დღემდე ჩვენი „უდაბნოში“ ხეტიალის მიზეზი ადამის უმადური, ბრმა და ურწმუნო მოდგმაა...

რომ კმარა! მათ აქვთ უფლება, ბედნიერი ბავშვობა ჰქონდეთ!

რომ დროა, უფლის გზის ძიებისა!

რომ მშობლებითა და სიყვარულით სავსე გარემოში ცხოვრება სურთ!..

ეს დღე ეკა ბაქრაძის დაბადების დღეს დაემთხვა... თბილისიდან ხაშურს, სპეციალური მისიით – პოეტი და რეჟისორი, ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის დაეჯილდოებინა, თამარიონის ენდელმითა და ვერცხლის ჯვრით ხელდამშვენებული, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, პოეტი მაყვალა გონაშვილი, მისი თანათავმჯდომარე პოეტი ბადრი ქუთათელაძე და მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ქ-ნი მზია ხეთაგური ეწვივნენ.

სპექტაკლის დასასრულს, უწყვეტი აპლოდისმენტებით დაჯილდოებული ნორჩი მსახიობები თავს ხრიდნენ მაყურებლის წინაშე. ოვაციები არ ცხრებოდა...

მოჭარბებული ემოციით ხმაგაბზარული საუბრობდა ხაშურის ისტორიის მემატიანე, ბ-ნი თამაზ ლაცაბიძე.

,,მე დღეს ქართულ თეატრში ვიყავი, მსახიობების წმინდა ქართულით მოხიბლული. ეს კეთილი ნერგი ხვალინდელ საქართველოში მნიშვნელოვან ნაყოფს გამოიღებს” – აღფრთოვანებას ვერ მალავდა მაყვალა გონაშვილი.

,,ეს „თევზები“ ოკეანეში გადაინაცვლებენ” – აღნიშნა „აკვარიუმის“ ნათლიამ, ქ-ნ მზია ხეთაგურმა.

– „აკვარიუმი“ ჩემი მეოთხედ დაბადების სიმბოლოა, ფიზიკური დაბადების, შვილის ამქვეყნად მოვლინებისა და მთარგმნელობითი საქმიანობის შემდეგ.” – ღიმილით დასძინა ეკატერინე ბაქრაძემ.

ვიცი, მან კიდევ მრავალჯერ უნდა იზეიმოს დაბადება. მათგან ერთ-ერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება დღე, როცა კრიალა იქნება ჩვენი ცა, მაღალი – მზე და ბედნიერი შვილებით უბესავსე მამულის მიწა-წყალი! ამ დაბადებით გასხივოსნებული ადამი კი, ისე როგორც სპექტაკლის ფინალში, ელდინო საღარაძის ფრაზებით მიმართავს დედამიწას:

მოგესალმები, დედამიწავ,
ნუღარას ეძებ!
გაგთენებია ოქროცურვილი ათასწლეული,
ახლა ზედიზედ მოვლენ ცისკრის განთიადები...
შენც, ცად ქცეული,
არასოდეს არ დამთავრდები!
სვეტიცხოველით,
უბრწყინვალესი სვეტით, ცხოველით,
მოედინება და განშრევდება სიყვარულის დიდი ნათელი
მთელს პლანეტაზე,
მე კი, ადამი,
ამ განათებულ დედამიწას ვჭვრეტ და დავყურებ
უზენაესი სამყაროის ტელესკოპიდან,
ჩანს, აღვასრულე ჩემი მისია,
აღარ არსებობს სიტყვა – ,,ჩემია”!
აღარც – ,,სხვისია”!
ყველა სიტყვა და ყველა გულისთქმა
ახლა მ ი ს ი ა!
ეს თასი, გრაალის წმინდა სიბრძნით სავსე
მზის სასმისია!
ეს კი ახალი ცის და მიწის
დ ა ს ა ნ ყ ი ს ი ა!..

კლარა გელაშვილი, პოეტი,
ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანების მმართველი

რედაქტორი ეკატერინე ბაქრაძე